ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲒᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲛᲑᲔ

№ 8

ᲤᲐᲡᲘ 3 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

ᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲙᲒᲘᲠᲐ 22 ᲗᲔᲒᲒᲔᲠᲕᲐᲚᲘ 1920 ᲬᲔᲚᲘ Ქ. ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

22 ᲗᲔᲒᲒᲔᲠᲕᲐᲚᲘ.

მეცნიერების სიტყვით--დაწერილი კანონი არის კონსტიტუცია.—ადამიანი სწერს კანონს, რომ შემდეგ დაემორჩილოს მას.

ძველი წყობილება იყო აგებული მეფის თვითმპყრობელობაზე, ამიტომ მთელს მაშინდელ კანონმდებლობაში წითელი ზოლით იყო გავლებული ერთპიროვნული თვითმპყრობელური პრინციპი.

ჩვენი საქართველოს ახალი წყობილება არის აგებული ხალხის თვითმპყრობელობაზე, ამიტომ მთელს ეხლანდელ კანონმდებლობაში ასევე წითელი ზოლით უნდა იქნას გავლებული დემოკრატიის ე. ი. ხალხის ბატონობის უზრუნველმყოფი პრინციპი.

კანონი იმდენათ არის ცხოველმყოფელი, რამდენათაც ნათლად და ზედმიწევნით სისწორით იხატება მასში ცხოვრების სინამდვილე. დღევანდელი ცხოვრების სინამდვილე წარმოადგენს კლასთა ბრძოლას, ისე როგორც თვითმპყრობელობის დროს.

მეფის თვითმპყრობელობის დროს პოლიტიკური ძალა უფლება ხელში ეპყრა მეფეს, მემამულეთ, წარჩინებულ წოდებას, ე. ი. მჩაგვრელთა და მყვლეფელთა კლასს, ამიტომ მაშინდელი კანონიც, ერთიანად იცავდა რა ამ გაბატონებულ კლასს, სასტიკათ და დაუნდობლათ ებრძოდა საზოგადოების დაჩაგრულ ნაწილს. ეხლა გაიმარჯვა დაჩაგრულმა კლასმა, ხალხმა, დემოკრატიამ, ამიტომ ახალი კანონებიც ერთიანად უნდა იცავდენ ამ დაჩაგრულ კლასს, ხალხს, დემოკრატიას და მისს სუვერენიტეტს.

დიდებულმა ფილოსოფოსმა ლეიბნიცმა ცხოვრების მსვლელობის სინამდვილე ასე გამოხატა: „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“.— მეორე მეცნიერის აზრით აწმყო წარმოადგენს წარსულის საფლავს და მომავლის აკვანს. ეს სიტყვები ისტორიული განვითარების ზედმიწევნით სწორი დახასიათებაა.

თუ ერთის მხრივ თანამედროვე ცხოვრების სინამდვილე წარმოადგენს დრომიჭმული წარსულის საფლავს თანამედროვე კანონდებულებაც უნდა ისახავდეს მიზნათ ყოველი საშვალებით წარსულის სამუდამო დასამარებას

თუ მეორე მხრივ ამავე სინამდვილეში არის ჩანასახი მომავალისა, კანონდებულებასაც უნდა ქონდეს დასახული ისეთი უფლებრივი ნორმების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ცხოვრების განმტკიცებას და ახალი ძალების გაფუჩქვნა აყვავებას.

ამნაირათ, ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია უნდა ამტკიცებდეს აწმყო მდგომარეობას და ფართე ასპარეზს უშლიდეს მომავალი ძალების განვითარებას. ამავე მიზანს უნდა ისახავდენ ერობისა და თემის დებულებანიც.

ჩვენში ერობა და თემი მოეწყო, მაგრამ მათი დებულება მხოლოდ ეხლა შეუშევდება. თუ სათანადო დებულების, საერობო და სათემო კანონის, უქონლობა ერთის მხრით უეჭველში ქმნიდა ერთნაირ გაუგებრობას და გაურკვევლობას ამ ორგანიზაციათა ურთიერთულ დამოკიდებულებაში, მეორე მხრით ესევე გარემოება აუცილებლათ შეუწყობს ხელს ისეთი საერობო კანონების გამოცემას, რომელიც უფრო ახლო იქნება ჩვენი ცხოვრების სინამდვილესთან. თითქმის ერთი წლის პრაქტიკამ დიდი გამოცდილება დააგროვა. ჩვენ არ გვქონდა ერობა წინეთ და არც ამის შესაფერი ტრადიცია. ამან დიდი დაბრკოლება შექმნა ჩვენს საერობო აღმშენებლობის საქმეში. დაამძიმა ჩვენი მდგომარეობა ამ მხრივ.

მაგრამ ამ მძიმე მდგომარეობიდან თანდათან გამოდის ჩვენი ქვეყანა. ზედი ზედ იმართება ერობათა და თემების წარმომადგენელთა ყრილობები, რომლებზედაც ირკვევა მრავალი რთული საჭირ-ბოროტო საკითხები ჩვენი ერობის და თემის ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებიდან.—თემის საბიუჯეტო უფლებები, ერობის საფეხურები, თემების ორგანიზაცია, ნატურალური ბეგარა—აი ის საკითხები, რომლის გარშემო ტრიალებს თემთა წარმომადგენლების ყრილობები.

ამა მიმდინარე 1920 წლის თებერვლის 17 ქ. ოზურგეთში შესდგა გურიის თემთა წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობას დაესწრა შინაგან საქმეთა მინისტრი ბ. ნ. ბ. რამიშვილი, რომელმაც პირდაპირ მოისმინა ხალხის საჭიროება წარმომადგენლებისაგან და მონაწილეობაც მიიღო ყრილობის მუშაობაში მთავრობის სახელით სათანადო განმარტებათა თუ პირადი რჩევის მოცემით.

მიუხედავათ იმისა რომ ყრილობა იყო მოწვეული ნაჩქარევათ, სწორეთ იმ განზრახვით, რომ მინისტრს შესძლებოდა ამ ყრილობაზე დასწრება, ყრილობამ მაინც პირნათლად შეასრულა თავისი დანიშნულება.

როგორც ამავე გაზეთში მოთავსებული ანგარიშიდან გაიგებს მკითხველი, ყრილობამ სრულებით შეგნებულათ გამოიტანა დადგენილება თითქმის ყველა უმთავრეს საჭირო-ბოროტო კითხვებზე.

ყველაზე უფრო მწვავე და რთულ საკითხათ უნდა ჩაითვალოს თემის საბიუჯეტო უფლებების საკითხი. ამ საკითხზე ერთხმათ იქნა მიღებული დადგენილება, რომელიც აძლევს თემს თვითდაბეგრვის უფლებას იმ პირობით, რომ მისგან შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვას წინასწარ იხილავდეს და ამტკიცებდეს სამაზრო ერობა, როგორც კანონიერების ისე მიზანშეწონილობის მხრივ.

ეს დადგენილება ერთიანად დაყრდნობილია სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ინტერესების შეგნებაზე და სავსებით იცავს მას.

როგორც მოგეხსენებათ თემი არის რესპუბლიკის ერთი პატარა კუთხის ორგანიზაცია. მას რომ მიეცეს სრული უფლება თვითდაბეგრვისა, მოსალოდნელია ეს დაბეგრვა იმდენათ დიდი გამოდგეს ამა თუ იმ თემში, იმდენათ დაასუსტოს მოქალაქის ბიუჯეტი, რომ შემდეგ ის შეუძლო გახადოს რესპუბლიკის თუ ერობის გადასახადებისათვის. ეს კი ადგილობრივი ინტერესებისთვის საქვეყნო ინტერესების შეწირვა იქნებოდა. როდესაც ამ თვითდაბეგრვას, თემის ხარჯთ-აღრიცხვაში გამოხატულს, წინასწარ გადასინჯავს უმაღლესი მმართველი და თვითმმართველი საფეხური ე. ი. სამაზრო ერობა, რომელიც მოვალეა ამ საქმეში იდგეს ერთი მხრივ სახელმწიფო და მეორე მხრივ თვით გადამხდელის ინტერესების დაცვის ნიადაგზე, მაშინ, იქვი არ არის, არ ექნება ადგილი ამ თვითდაბეგრვის უფლებით რესპუბლიკის საზიანოთ გამოყენებას.

ასევე მნიშვნელოვანი და უაღრესათ ბიზანშეწონილია დადგენილება ერობის ორგანიზაციისა და ნატურალური ბეგრის შესახებ. პირველი დადგენილებით ერობას უნდა ქონდეს ორი საფეხური: თემი და სამაზრო ერობა. რამდენიმე სოფლიდან შემდგარი თემის გამგეობა საჭიროების მიხედვით გაიჩენს სოფელში თავის რწმუნებულს თავის განკარგულებათა ცხოვრებაში გასატარებლათ.—მეორე დადგენილებით გზების და ხიდეების კეთება, წყლის ნაპირების გამაგრება, სახალხო სახლის შენება, ჭაობების ამოშრობა და სხვა სამუშაო თემში უნდა სრულდებოდეს ნატურალური ბეგარით.

ეს დადგენილებაც მდგომარეობის შეგნებისა და პოლიტიკური სიმწიფის უაღრესი მაჩვენებელია.

ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ გურიის თემთა ყრილობის დადგენილებებს და უსურვებთ თემებს ერთსულოვნათ და სწრაფათ გაეტარებიონ ისინი ცხოვრებაში, განსაკუთრებით ნატურალური ბეგარა, რომელიც ჩვენი ცხოვრების კეთილად მოწყობის ერთად ერთი საშუალებაა.

მეორე მხრივ ვაქცევთ ამ დადგენილებებზე იმათ ყურადღებას, ვისგანაც არის დამოკიდებული საერობო და სათემო დებულებათა გამოცემა, რომ სათანადო ანგარიში გაუწიონ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სინამდვილის გამომხატველ დადგენილებებს და მასზე ააშენონ შესაფერი უფლებრივი ნორმები—კანონები.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება მიაღწიოს მიზანს ჩვენმა საერობო კანონდებულებამ.

საუბარი მკითხველთან.

VII

როგორ უნდა გვესმოდეს თავისუფლება და თანასწორობა.

მოგეხსენებათ იარაღს მომხმარე სჭირია. ცეცხლი ხომ კაცობრიობის კულტურის ერთი საუკეთესო იარაღთაგანია. იგი ჩვენ გვათბობს, საჭმელს გვიმზადებს, მოყავს მოძრაობაში არა მარტო პატარა მანქანები, არამედ მიაქროლებს ზღვის სივრცეზე უდიდეს გემებს, ხმელეთზე ორთქლმავალებს და სხვა, მაგრამ, თუ ოდნავ მაინც დავარღვიეთ სიფრთხილე ცეცხლის მიმართ, ან ბავშვს და სულელ კაცს მივანდვეთ ის, ეს ჩვენი ამშენებელი ცეცხლი ერთიანად გადაგვბუგავს, გაგვანადგურებს. ასე ითქმის სხვა იარაღზედაც ცულით და წალდით ხეს ვსჭრით, სახლს ვიშენებთ, შეშას ვაპობთ, იმავე იარაღით შეიძლება კაცი მოვკლათ, სახლი დავაპოთ.

თავისუფლება და თანასწორობაც ერთნაირი იარაღია ჩვენი ცხოვრების მოსაწყობათ. ამათი მოხმარაც სწორეთ მათ შეუძლიათ, ვინც მომწიფებულია სახმისოთ, ვინც იცის ფასი და ღირსებულება ამ თავისუფლება—თანასწორობისა.

საუკუნეთა განმავლობაში წარმოებულმა თვითმპყრობელურმა პოლიტიკამ უფსკრული გათხარა ხალხსა და მთავრობას შორის, ხალხი აქცია მონათ და მთავრობა კი გააბატონა მასზე. დაირაზმენ ერთის მხრით მთავრობა და მისი დამქაშები: თავადაზნაურები, ბატონები, ჩარჩები, მდიდრები, საზოგადოთ მჩაგვრელთა კლასი; მეორე მხრით მუშები, ყმები, მონები, ღარიბები, მშიერნი--ერთი სიტყვით, საზოგადოების ყველაზე უფრო დაჩაგრული ნაწილი. მოხდა ამ ორ მოპირდაპირე მხარეთა დატაკება—დიდი რევოლიუცია. დაეცა პირველი, გაიმარჯვა მეორე მხარემ.

ჩვენ წარმოვადგენდით დაჩაგრულთა მხარეს. დიდი ხნით ადრე ვირაზმებოდით ძველი წყობილების წინაამდეგ, ვებრძოდით მონობას და ჩაგვრას თავისუფლებისა და თანასწორობის სახელით. ვიბრძოდით გარკვეული მიზნით, რომ დაგვემხო მეფის თვითმპყრობელობა და მის მაგიერ შემოგვეღო სახალხო, სრულიად დემოკრატიული მართვა-გამგეობა. ჩვენ სახელმწიფოებრივობას, წესრიგს და მართვა-გამგეობას კი არ ვყოფდით უარს, პირიქით სწორეთ იმისთვის ვიბრძოდით, რომ სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა გამოგვეტაცა თვითმპყრობელობისგან და გადაგვეცა ხალხის, დემოკრატიის ხელში.

გადამწყვეტი იერიში გამარჯვებით დამთავრდა. დაემხო ძველი თვითმპყრობელობა და აფრიალდა თავისუფლებისა და თანასწორობის დროშა და ბრუნდი და მართალი ყველა მოაწყდა ამ დროშას საკუთარი მიზნით, საკუთარი შეხედულებით. ყველამ თავისებური თავისუფლების და თანასწორობის დამყარება მოიწადინა. საზოგადოების ყველა წრეში, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებში მოხდა ერთნაირი დაპირდაპირება უცროს უფროსებისა. დიდი ხნის მონობაში და სიბნელეში მყოფი რუსის ხალხი ვერ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე. მან თავისუფლება—თანასწორობისათვის ბრძოლა შურის ძიებათ აქცია. ქარხნის მუშამ კაპიტალისტობა მოინდომა, ჯარის-კაცმა ღენერლობა, შავმა მუშამ ინჟინრობა, ფერშალმა ექიმობა, სტუდენტმა პროფესორობა, მოწაფემ მასწავლებლობა, უმიწაწყლო გლეხმა მემამულეობა, მედავითნემ მღვდელმთავრობა. ასეთმა სულიერმა განწყობილებამ მოუპოვა რუსეთის ხალხში პოხიერი ნიადაგი ბოლშევიზმს, რომელმაც დაღუპა რევოლიუცია და ეხლა ანადგურებს თვით ხალხს.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო. როცა მუშა ცდილობს კაპიტალისტათ გახდომას, ამით მხოლოდ როლი იცვლება, თვით კაპიტალიზმი და მისი შედეგები კი ისევ ძალაში რჩება. როცა ჯარის-კაცი ღენერლობას, ფოსტის დამტარებელი ფოსტის უფროსობას ჩემობს, ეს თავისუფლების ველურად გაგებაა. ეს იმავე უთანასწორობის დაკანონებაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წინანდელ დაჩაგრული მუშის ალაგს იჭერს კაპიტალისტი, მუშა კი მჩაგვრელის როლში გამოდის, საამისოთ მას არც უნარი და არც ცოდნა-გამოცდილება შესწევს. წინანდელი შექმნილი ილევა, ახალი არ იქმნება, საწარმოვო ძალები თან და თან სუსტდებიან, ეკონომიური ცხოვრება კატასტროფას ადგება, პოლიტიკაში მეფდება არევ-დარევა, ანარქია და რევოლიუცია მარცხდება. ამ ხანას განიცდის რუსეთი.

საქართველო სულ სხვა გზით წავიდა. აქ არ ქონდა ადგილი შურის ძიებას. რევოლიუციის ხელმძღვანელთა მიერ სწორათ გაგებული მიზნები ხალხმაც შეითვისა და რევოლიუციის პირველ ხანებში არსებული არევ-დარევა თან და თან ნელდება. აქ ხალხი ისე ბრმათ არ აყოლია თვის გულის თხრობას და თანასწორობის დამყარების სახელით უთანასწორობა არ დაუკანონებია. მაგრამ ეს არ კმარა.

რადგანაც ჩვენ ვაშენებთ ისეთს სახელმწიფოს, სადაც ხალხის ხელისუფლება უნდა იქმნას სავსებით დაცული, სწორეთ ამიტომ ჩვენ ვქმნით ისეთს წყობილებას, სადაც თავისუფლება და თანასწორობა უნდა იქმნას ჩაყენებული განსაზღვრულ კალაპოტში. რესპუბლიკის კანონების შინაშე სამოქალაქო უფლებაში იქვი არ არის ჩვენ ყველანი თანასწორი ვიქნებით. მაგრამ მართვა-გამგეობის საქმეში მტკიცეთ უნდა იქმნას დაცული და გატარებული ეგრეთ წოდებული სამსახურის უმცროსუფროსობა. ენგელსის სიტყვებით თავისუფლება მდგომარეობს თავის თავზე და გარემოცულ ბუნებაზე გაბატონებაში. სწორეთ ამიტომ, მისი აზრით, ეს თავისუფლება არის ისტორიული განვითარების აუცილებელი შედეგი. ჰეგელისათვის თავისუფლება არის აუცილებლობის შეგნება. დღევანდელი აუცილებლობა კი გვიკარნახებს, რომ ჩვენ სასტიკათ დავიცვათ ეგრეთ წოდებული დისციპლინა.

სრულებით მოულოდნელათ მე გავხდი მოწმე ასეთი შემთხვევის: მილიციონერი მოდის მის უფროსთან და რაღაც შემოხვევის გამო გარეშე მაყურებლების წინაშე იარაღს ყრის და უცხადებს უფ-

როსს, რომ მას სამსახური არ სურს. უფროსი მას რაღაცას უპასუხებს, მაგრამ გარკვეულათ არაფერი გამოდის აქედან.

ასეთ შემთხვევას სხვაგანაც აქვს ადგილი. ძალზე შერყეულია სამსახურისათვის აუცილებლათ საჭირო დისციპლინა. უმცროსი უფროს აღარ სცნობს, ერთი მეორეს პატივისცემა მოდუმებულია, ყველა თავის პირად ინტერესებს ასკუპებს წინ და პასუხის გებას კი გაურბიან, როგორც მოსამსახურე პირნი, ისე თვით მოქალაქენიც. ეს თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი დაღუპვა აუცილებელი იქნება.

მილიციონერს თავის ვალდებულების დროს არავითარი შემთხვევა არ აძლევს უფლებას, რომ მოიხსნას პოსტიდან ე. ი. ვალდებულების აღსრულებიდან. ამისათვის ის სასტიკათ უნდა ისჯებოდეს. მილიციის უფროსს არავითარი უფლება არ აქვს ასეთი შემთხვევა დატოვოს დაუსჯელათ. შეიძლება მილიციონერი სავსებით მართალი იყო არსებითად, ამის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეეძლო საკითხის აღძრა, როცა ის თავის პირდაპირ მოვალეობას და უფროსის ბრძანებას შეასრულებდა.

რამდენათაც ჩვენ არ ვემორჩილებით თვითმპყრობელობის კანონს, იმდენათ დავალებლათ უნდა ვემორჩილებოდეთ ჩვენი რესპუბლიკის კანონებს, როგორც ხალხის ნება სურვილს. ჩვენ გვწამს მხოლოდ ხალხის სუვერენიტეტი, მისი ხელის უფლება და მარტო მას ვსთვლით მიმდინარე მომენტში მისი ბედის თავისუფალ მჭედლათ. ყველა ჩვენ იმდენათ ვართ თავისუფალი და თანასწორი, რამდენათაც ეს ამ მიზანს შეეფერება და მისგან გამომდინარეობს.

აბსოლიუტური თავისუფლება და თანასწორობა ჩვენ არა გვწამს. სოციალური თანასწორობა დამყარდება მხოლოდ სოციალიზმის დროს. აქეთკენ ჩვენ მივილტვით და იმდენათ ადრე მივალთ, რამდენათაც ადრე განვამტკიცებთ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

როცა რესპუბლიკის არც ერთი მოხელის თვითნებობა არ დარჩება დაუსჯელათ სათანადო მთავრობის მიერ, როცა თვათ მოქალაქე შესაფერი პატივისცემით და—მორჩილებით მოეპყრობა რესპუბლიკის მართვაგამგეობის მოხელეთ, როცა ჯარში, გვარდიასა და მილიციაში სასტიკათ იქნება დაცული ურთიერთულ პატივისცემაზე და რესპუბლიკის ინტერესების შეგნებაზე და სიყვარულზე დამყარებული დისციპლინა, მაშინ იქნება სწორეთ დასმული და გადაჭრილიც, როგორც თავისუფლების, ისე თანასწორობის საკითხი და ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის კეთილდღეობა უზრუნველყოფილი.

გიქ. დლონტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის დადგენილებიდან:

— ქალაქის გამგეობასთან მოლაპარაკება იმას შესახებ, თუ რა პირობებში უნდა ხდებოდეს ქალაქის ერობის საავათმყოფოთი სარგებლობა, მიენდოს გამგეობის წევრს კ. ქავთარაძეს და ერობის ხმოსანს გ. შილაკაძეს.

— უარი ეთქვას სუფსის თემის გამგეობას მის შუამდგომლობაზე შესახებ შუამდგომლობის აღძვრისა სამაზრო საერობო გამგეობის წინაშე სუფსის თემიმის ხვედრ სანიტარულ გადასახადის 34.435 მანეთით შემცირების შესახებ და წინადადება მიეცეს მას დაუყონებლივ აკრიბოს ეს თანხა და წარმოადგინოს ერობის კასაში.

— უარი ეთქვას ს. ბჟოლიეთის მცხოვრებთ ერკეთის თემზე მიწერაზე.

— დაევალოს თავმჯდომარეს სიო. ჰანტურიშვილს შეადგინოს პროექტი შტაბის გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ფულით დაკმაყოფილების შესახებ და ეს პროექტი წინასწარ გამგეობაში განხილვის შემდეგ წარედგინოს მორიგ სამაზრო საერობო ყრილობას.

— დადასტურებულ იქნას მაზრის მილიციის უფროსის მოხსენება სუფსის უბნის მილიციის უფროსის მეგრელიშვილის მისი თხოვნის თანახმად სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

— განთავისუფლებულ იქმნას სამსახურიდან ლიხაურის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი ელენე ქიქოძე 1 იანვრიდან ა. წ. სამი თვის ჯამაგირის მიცემით.

— დროებით მიღებულ იქმნას სასურსათო განყოფილების მოანგარიშე ივანე ურუშაძე 10 თებერვლიდან ა. წ. ათას შვიდასი (1.700) მანეთი ჯამაგირით თვეში.

— ხარჯთ-ამკრეფი ინსპექტორის მომართვა შემოსავალზე გადასახადის ოზურგეთის საუბნო საკრებულოში ორი წარმომადგენლის არჩევის შესახებ მოხსენდეს სამაზრო საერობო ყრილობას.

ქრონიკა.

ამ ზამთარში ჩვენი მაზრის რამოდენიმე სოფლებში თავი იჩინა შავმა სახადმა. მიქელ-გაბრიელის

თემში ავათ იყო შავი სახადით იანვრის განმავლობაში 10 სული (ქალი და კაცი). საექიმო განყოფილებამ მიიღო რა ცნობა ამ ავათმყოფობის შესახებ, გაგზავნა თემებში ექიმის თანაშემწე ნოე კვირკელია, რომლის განკარგულებაში საერობო აფთიაქიდან გაიცა საჭირო სადეზინფექციო მასალა და დაევალა ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლა. დროზედ მიღებულ ზომებს უნაყოფოთ არ ჩაუვლია. ავათმყოფობას დღეს ეპიდემიური ხასიათი აღარ აქვს და ის დაცხრომის სტადიაში გადავიდა. უკანასკნელი ცნობით არის მხოლოდ სამი ავათმყოფი და ისინიც მორჩენის გზაზე ადგია.

ლიხაურში, გოგიეთში და შემოქმედში გავრცელდა ერთნაირი სენი, რომელიც ცნობილია ჩვენს ხალხში ესპანკის სახელწოდებით. ეს ავათმყოფობა თავისი შედეგებით უსაშინელესი შეიქნა შავ სახადზე და რამოდენიმე ავათმყოფობის სიცოცხლეც იმსხვერპლა. ამ სოფელში გაიგზავნა ექიმის თანაშემწე პროკოფი ბერეჟიანი, რომელსაც მიეცა ერობის აფთიაქიდან წამლები უფასოთ დასარიგებლათ ავათმყოფ ოჯახზე. აგრეთვე დაევალა ოზურგეთის უბნის ექიმს ბ. გ. ურუშაძეს იქონიოს განსაკუთრებული ყურადღება ამ სოფლების მიმართ და ყოველ დღე იაროს ამა თუ იმ სოფლებში დახმარების აღმოსაჩენათ.

— 10 თებერვალს ა. წ. შესდგა ამაღლების თემის ხმოსანთა საბჭოს კრება, რომელზედაც მოხდა რეორგანიზაცია როგორც საბჭოს პრეზიდიუმისა, ისე თემის გამგეობისა. გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეული იქნა როზმან დიანოსის ძე დოლიძე, წევრებათ: კოწია ჯიბუტი და პორფილე დოლიძე.

8 თებერვალს ა. წ. ღამით ამაღლების თემის მცხოვრებ ვიქ. დოლიძისას ქორწილში უცაბედათ მოკლულ იქნა მაყარი მილიციონერი ამაღლების თემისა ვლადიმერ გიგოს-ძე დოლიძე.

სამაზრო ᲔᲠᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ:

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

ამ წლის 4 იანვარს თემების წარმომადგენელთა თათბირის გადაწყვეტილების თანახმად ყველა თემიდან და მათი კორესპოდენტებიდან უნდა წარმოდგენილიყო მიწათ მფლობელობის და მიწით სარგებლობის გამომრკვევი სტატისტიკური ცნობები ამა წლის 1 თებერვლამდის. 20 დღეზე მეტი გადის და ასეთი ცნობები თემების უმრავლესობას არ წარმოუდგენია. ამ ცნობის უქონლობა კი ძლიერ აფერხებს აგრარული რეფორმების დაჩქარებით გატარების სამზადისის საქმეს, რასაც ბრძოლება არა სასურველი შედეგი მოჰყვეს. ამიტომ სამაზრო ერობის გამგეობის სტატისტიკური განყოფილება დაბეჯითებით სთხოვს თემების გამგეობებს დაუყონებლივ წარმოადგინონ ეს ცნობები.

ᲘᲡᲞᲐᲜᲙᲐ

„ისპანკა“ არ არის ახალი ავათმყოფობა. ის დიდი ხანია ცნობილია სამკურნალო მეცნიერებაში ინფლუენციის სახელით (грипп). უკანასკნელ წლებში ამ ავათმყოფობამ მწვავე ხასიათი მიიღო და დრო გამოშვებით ეპიდემიის სახით გვევლინება. ამ სენის გამომწვევი მიზეზები არის პლეიფერის ბაცილები. როცა ისინი დაიბუდებენ ადამიანის ორგანიზმში. „ისპანკა“ გადამდები ავათმყოფობაა. გადადის ავათმყოფიდან კარგათმყოფზე შეხების საშვალებით და ჰაერითაც უკანასკნელი საშვალებით ამ სენის გავრცელებას ბევრი ცნობილი ექიმი ადასტურებს. უკანასკნელ დროს ამ ავათმყოფობის სამძიმო მიმდინარეობა აიხსნება საშინელ ომის გამო მომხდარ ცვლილებით და აქედან შექმნილი აუტანელი პირობებით, როგორიც არის, მაგ. მასსიური შიმშილი, დაღლილობა, ნერვიული სისტემის მოქანცულობა და სხვა...

ამ სენმა პირველად იჩინა თავი ისპანიაში. ქ. მადრიდში რამოდენიმე სული გახდა ავათ. რაღაც 2-3 დღის განმავლობაში (არ იაზოგა თვით ისპანიის კოროლიც). აი, აქედან წარმოიშვა სახელი ამ სენისა „ისპანკა“. შემდეგ მან შემოიარა მთელი ევროპა და უთვალაკი მსხვერპლიც შეიწირა. ჩვენს ქვეყანას ეს ავათმყოფობა ესტუმრა პირველად 1918 წლის ზაფხულიდან და მთელი სიგრძე-სიგანით შემოიარა. წელს ხელახლად დაგვიბრუნდა ის, მაგრამ შარშანდელზე უფრო განრისხებული-ულმობელი.

ეს ავათმყოფობა იწყება უეცრად სიცხის აწევით, თავისტკივილით, პირსაქმებით, ხშირად იცის ცვირიდან სისხლის დენაც.

ავათმყოფებს სახე უწითლდებათ, ხელ-ფეხს ამტვრევს, ეკარგება ჭამის მადა და საზოგადოთ ემჩნევა მოქანცულობა. უფრო ხშირად ავათმყოფს უძილობა სჭირს. შეიძლება ხანდახან ბურანშიც ჩაგდებს. ავათმყოფობა გრძელდება 3 დღიდან რამოდენიმე კვირამდე. ეს სენი საშიში მაშინ არის, როცა ფილტვების ანთებათ რთულდება. სწორეთ ასეთი

გართულების შემდეგ იქლევა დიდ % სიკვდილისას.

ყოველ შემთხვევაში ავათმყოფთან უნდა მოიწვიოთ ექიმი და შეასრულოთ მისი დარიგება-წამლობა. სანამ ექიმი მოვიდოდეს, ავათმყოფი უნდა გამოეყოს კარგათ მყოფებს და მოთავსებულ იქნას სუფთა და ნათელი ოთახში, თავზე უნდა ედვას ყინული. დიდი სიცხის დროს მთელი ტანი უნდა დაუზილოთ ძმრით ან არაყით, საცვლები ხშირათ უნდა უცვალოთ საჭიროა აგრეთვე ასვათ დრო-გამოშვებით ცივი სასმელი შერეული ღვინით, ან ხილის წვნით. ავათმყოფის მომვლელმა უნდა დაიცვას სასტიკი სისუფთავე, იბანოს ხელები ხშირათ საპნით და სადეზინფექციო სითხით. ასეთი ზომების მიღებით შესაძლებელია ავათმყოფობა მომვლელს აღარ გადაედოს. მნახველები არ უნდა იქნას დაშვებული ავათმყოფის ბინაზე, იმიტომ რომ მათ შეუძლიათ ჩაიდინონ ორი ბოროტება: ერთი, მნახველები უსარგებლო ლაპარაკით და გამოკითხვით ავათმყოფს ასუსტებენ; მეორე, მათ შეუძლიათ ეს ავათმყოფობა გადაიტანონ სხვა ოჯახებში

აი, ასეთი ზომებია საჭირო, რომ ეპიდემია დასაწყისშივე იქნას ჩაცხრობილი და ხალხმა აიცდინოს ის მსხვერპლი, რომელიც არის ამ სენის თანამგზავრი.

ექიმი ს. აბაშიძე

სკოლის საკითხები.

IV.

თანამედროვე პედაგოგიკა შრომა-მოქმედების პრინციპს ახალი სკოლის საფუძვლად აღიარებს, ამ პრინციპის სალად განხორციელებაში ხედავს დაავადებულ სკოლის გაჯანსაღების ერთად-ერთ საშუალებას. ძველ პედაგოგიურ შრომა—ხელგარჯილობას მეორე ხარისხოვან ადგილს უთმობდენ სკოლაში და იმასაც სპეციალურ—პროფესიონალური თვალსაზრისით,—ახალ პედაგოგიურ შრომა—მოქმედებას სკოლის საფუძვლად აღიარებენ, მაგრამ არ უსახავენ მას არავითარ პროფესიონალურ მიზნებს. სკოლას პირველ საფეხურზე დაწყებითი სკოლას—არ შეუძლია დაისახოს არავითარი სპეციალური მიზნები, ის საზოგადო განათლების ხასიათის უნდა იყოს. და თუ აქ მოსწავლე ახალ-გაზრდობა მოქმედობს, სწავლობს ბაღში, მინდორში, ლაბორატორიაში, სახელოსნოებში, სათრინველოში და სხვა,—ეს არა იმ მიზნით, რომ რაიმე სპეციალური ცოდნა შეიძინოს, არამედ იმ მიზნით, რომ მოქმედების პროცესში მიიღოს შესასწავლ საგანზე საგნობრივი წარმოდგენა და ამით განუმტკიცოს ნიადაგი სალ საზოგადო განათლებას. რა თქმა უნდა, შრომა—მოქმედების პროცესში [illegible]რავებს მიდრეკილებას ამა თუ იმ სპეციალური ცოდნისაკენ და ცოტაოდენს კიდევაც იძენს პროფესიონალური დარგიდან, მაგრამ, როგორც ვსთქვით, ეს არაა დაწყებითი სკოლის მიზანი, ეს მეორე ხარისხოვანი მხარეა შრომა—მოქმედების პრინციპის და პრაქტიკულ—სპეციალური თვალსაზრისით დაფასდება იმდენათ, რამდენათაც ნიადაგს უმზადებს პროფესიონალური ცოდნის მიღებას მომავალში სპეციალურ სკოლებში.

აქტივობა, მოქმედება, გარემო ბუნებაზე ეს ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა ყოველი ცოცხალი არსებისა, რაც უნდა მარტივი ორგანიზაციის არ იყოს ის, ეს ბიოლოგიური კანონია. მოქმედების და ბრძოლის პროცესში ადამიანმა შექმნა უმაღლესი კულტურა-სულიერი და ნივთიერი, მოქმედებაა წყარო მისი ძლევამოსილების და ბედნიერების. „ადამიანი გარემო ბუნების და სოციალური წრის წევრია; მან უნდა დაიკავოს აქ განსაზღვრული ადგილი; ის ვერ დაკმაყოფილდება მარტო განჭვრეტით და დაკვირვებით, არამედ უნდა ჰქმნიდეს, ახახიერებდეს და მიზანშეწონილად მოქმედებდეს ბუნების და სოციალური წრის ცხოვრებაზე. ამიტომ საჭიროა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული შესასწავლი მასალა იქნას ამოკრებილი და დალაგებული ბუნების და კულტურის მოთხოვნილების მიხედვით. ეს მასალა უნდა შეისწავლებოდეს არა მარტო დაკვირვების საშუალებით, არამედ გამოხატულება—მოქმედებით". ამბობს ლაი („მოქმედების სკოლა"—გვ. 106).

გამოხატულება და მოქმედება ფრიად მნიშვნელოვანი მომენტია შემეცნების პროცესში. პსიხოლოგია ამტკიცებს, რომ ყოველი შთაბეჭდილება მაშინაა მტკიცე და უტყუარი, როცა ის გარეგნულადაა რეაქციით შესწორებულ-გამოხატულით. გაღიზიანება—შემეცნება—მოქმედება—გადამუშავება-შთაბეჭდილება,—ასეთია სალი შთაბეჭდილების მიღების პროცესი. რომ შემეცნებას ბუნებრივად, ინსტიკტიურად თან ჰყვება ასე ვსთქვათ, წყურვილი გარეგანი გამოხატულება—მოქმედებისა, ამის მაგალითები ყველა მასწავლებელს შეუმჩნევია. როცა ვაცნობთ ბავშვებს რომელსამე ახალ ხმას და ასოს და ვაფრთხილებთ, მხოლოდ მოისმინეთ და დაინახეთო, მოწაფენი უმეტეს შემთხვევაში, ვერ იკავებენ თავს, იმეორებენ ხმას, ან ბაგეებს აწყობენ ამ ხმის გამოსათქმელად და შესაფერადაც ამოძრავებენ თითებს, მასწავლებელი ამ მოვლენას მიაწერს ცელქობას და უყურადღებობას, მაგრამ სინამდვილეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ამ მოქმედების პროცესში ბავში ითვისებს და აღრმავებს შთაბეჭდილებას. ბავშვების წაბაძულობაც მოქმედებისადმი წყურვილის შედეგია: როცა ბავში ათვალიერებს ამა თუ იმ მოძრაობას, ის ვერ კმაყოფილდება მარტო მხედველობითი შემეცნებით და ცდილობს მოქმედებით შეამოწმოს და განამტკიცოს შთაბეჭდილება. ასეთია ფსიხოლოგიური საფუძველი მოქმედების პრინციპისა. როცა სწავლების მეთოდებს ვიკვლევთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ბავშვის ბუნება, ბავშვის ფსიხოლოგია. მეთოდი ბავშვისთვისაა და არა მასწავლებლისთვის. ბავშვი აქტივია, თვითმოქმედება მისი ბუნებაა. მოქმედებაში იზრდება ის სულიერათ და ფიზიკურად. ამიტომ სწავლა — აღზრდის საღი მეთოდი — ეს მოქმედების მეთოდია, ასე რომ მოქმედების პრინციპი ყველა სასწავლო საგნებში მეთოდიურ ხასიათის მოთხოვნილებათ უნდა ჩაითვალოს. —

(შემდეგი იქნება)

გაბრიელ გოგუაძე.

გურიის თემთა წარმომადგენლების ყრილობა.

17 თებერვალი 1920 წ.

ყრილობა გაიხსნა ნაშუადღევის 3 საათზე სამაზრო ერობის ბინაზე. დაესწრენ წარმომადგენლები მაზრაში არსებულ თემთა უმრავლესობიდან საბჭოსა და გამგეობის თავმჯდომარეებისა და გამგეობის წევრი-მდივნების სახით, დაახლოებით 70 კაცი.

ყრილობას დაესწრო აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ნ. რამიშვილი, რომელსაც ყრილობა მხურვალე ტაშით შეხვდა.

ყრილობა გახსნა სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ს. ჭანტურიშვილმა მოკლე მისასალმებელი სიტყვით, რომელშიაც, აღნიშნა რა დიდი მნიშვნელობა თემთა მუშაობა-მოღვაწეობისა რევოლიუციით მონაპოვართა შენარჩუნება-განმტკიცების საქმეში, განმარტა მიზანი ყრილობისა და იმედი გამოსთქვა, რომ ყრილობა შესძლებს არსებული პირობების მიხედვით გადასჭრას დღის წესრიგში დასმული საკითხები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ერობის დებულების შემუშავების დროს, და აგრეთვე გააცნოს ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრს სოფლის ვითარება-საჭიროებანი.

ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეული იქნა სამაზრო ერობის თავმჯდომარე ბ-ნი ს. ჭანტურიშვილი.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები:

1, მოხსენებები ადგილებიდან.

2, თემის საბიუჯეტო უფლებები.

3, ერობის საფეხურები.

4, თემების ორგანიზაცია.

5, ნატურალური ბეგარა.

6, გაზეთ „ერობის მოამბის" შესახებ.

ადგილებიდან მოხსენებათა მოსმენამდე ყრილობას მიესალმა შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ნ. რამიშვილი, რომელმაც, აღნიშნა რა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, განმარტა თემების მოვალეობა, მათი უდიდესი მნიშვნელობა არსებულ პირობებში და უკანასკნელათ აღუთქვა თემებს ყოველ-მხრივი დახმარება მთავრობის მხრივ. ყრილობა ფეხზე ადგომით მხურვალე ტაშის ცემით მიეგება მინისტრის მისალმებას, რას შემდეგ ყრილობა შეუდგა მოხსენებების მოსმენას ადგილებიდან.

ადგილებიდან მოხსენების დროს ერობის გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი ს. ჭანტურიშვილი აძლევდა ზოგიერთ მომხსენებლებს საჭიროო ახსნა-განმარტებას ყველა იმ საკითხებზე, რომლებსაც ისინი აყენებდნენ გამგეობის საყურადღებოთ.

პირველი საკითხი — თემის საბიუჯეტო უფლებების შესახებ. — მოხსენებას აკეთებს ბ-ნი ს. ჭანტურიშვილი, რომელიც საჭიროთ სთვლის თემებს ქონდეს უფლება თვით დაბეგვრისა, მაგრამ ეს უფლება არ უნდა იყოს განუსაზღვრელი, არამედ სამაზრო ერობის ხელში უნდა იყოს უფლება თემის საბჭოს მიერ შემუშავებული ბარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა და აგრეთვე კონტროლისა როგორც მიზანშეწონილების, ისე კანონიერების მხრივ: — სათემო გადასახადი, მომხსენებლის აზრით, უნდა დარჩეს ორ-გვარი: ჩვეულებრივი და საგანგებო. პირველი თემის მიმდინარე ჩვეულებრივი ხარჯების დასაფარავათ და მეორე-კი არა ჩვეულებრივი, მაგალითათ, სკოლის შენობის აგება და სხვა ხარჯებისათვის.

ყრილობა უკამათოდ და ერთხმად ღებულობს მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ დებულებებს და გამოაქვს შემდეგი დადგენილება:

„რადგანაც თემი არის რესპუბლიკის ძირითადი თვითმმართველი ერთეული და რადგანაც ამ ძირითადი ერთეულის რესპუბლიკის სამდვილ საძირკვლათ გადაქცევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მიეცემა მისი უფლება-მოსილების განმახორციელებელი ფინანსიური საშუალებანი, ხოლო ეს კი შესაძლებელია თვით დაბეგვრის საშუალებით, თემთა წარმომადგენლების ყრილობა ადგენს:

მიეცეს თემს თვით დაბეგვრის უფლება იმ პირობით, რომ მისგან შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვას წინასწარ იხილავდეს და ამტკიცებდეს სამაზრო ერობა, როგორც

კანონიერების ისე მიზანშეწონილების მხრივ".

მეორე საკითხის, ერობის საფეხურების შესახებაც, კრებას მოახსენებს ბ. ს. ჭანტურიშვილი და უდგენს შემდეგ რეზოლიუციას, რომელსაც ყრილობა ერთხმად ღებულობს:

„ჩვენს ერობას უნდა ქონდეს ორი საფეხური: თემი და სამაზრო ერობა. რამოდენიმე სოფლიდან შემდგარი თემის გამგეობა საჭიროების მიხედვით გაიჩენს სოფელში თავის რწმუნებულს თავის განკარგულებათა ცხოვრებაში გასატარებლათ.

საკითხის, თემის ორგანიზაციის შესახებ, ყრილობა ბ-ნი ჭანტურიშვილისავე მოხსენებით ღებულობს შემდეგ დადგენილებას:

,, თემი შესდგება ორი ორგანოსაგან: თემის საბჭო—განმკარგულებელი ფუნქციებით და მისი აღმასრულებელი ორგანო-თემის გამგეობა. საბჭოს და თემის გამგეობას ეავთ თავმჯდომარეები".

ნატურალური ბეგრის შესახებ მცირე კამათის შემდეგ, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო ბ-მა მინისტრმაც. ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„რადგანაც ეოველად შეუძლებელია, რომ თემმა ფულზე აკეთოს გზები და ხიდები, აშენოს ჭობები, ამაგრონ წყლის ნაპირები და სხვა, ამიტომ თემთა ერობა ერთად ერთ მიზანშეწონილ ზომათ აღიარებს ამ დარგებში ნატურალური ბეგრის შემოღებას სამაზრო ერობის ხმოსანთა ერიდობის დადგენილებით მაზრის ფარგლებში და თემის საბჭოს დადგენილებით თემის ფარგლებში.

გზის მიმართულები დამტკიცება შედის სამაზრო ერობის გამგეობის კომპეტენციაში.

სხვა და სხვა კულტურულ მიზნის შენობებისათვის ხის მასალები სასურველია უფასოთ დაეთმოს სახელმწიფო ტეიდან, რაც ხელს შეუწყობს მოკლე დროში უფუ- და თემებში აგებას სახალხო სახლისა, აბანოებისა და სხვა საჭირო საზოგადო დაწესებულებებისა."

საკითხმა თემის მილიციის შესახებ გამოიწვია დიდი კამათი; ზოგიერთი წარმომადგენელნი მოითხოვდენ თემის მილიციის შტატის გადიდებას რომ თემში იყოს იმდენი მილიციონერი, რამდენიც სოფელი შედიც თემში. უკანასკნელათ ყრილობამ დაიდგინა: „თემს უნდა ეაგდეს არა ნაკლებ სამი მილიციონერისა ერთი მილიციის უფროსით"

უკანასკნელათ ბ-ნი ს. ჭანტურიშვილი სთხოვს რა ყრილობას, მოაწოდონ ყოველ გვარი ცნობები თემის ცხოვრებიდან აგრეთვე საბჭოსა და გამგეობის დადგენილებანი ერობის გაზეთ „გურიის ერობის მოამბეს" და აგრეთვე ხელი შეუწყონ მას გავრცელებას, მადლობას უხდის როგორც ყრილობას, ისე ბატონ მინისტრს ყრილობაზე დასწრებისა და მონაწილეობისათვის და დახურულათ აცხადებს ყრილობას, რომელიც ტაშის კვრით ისტუმრებს ბ-ნ მინაგან საქმეთა მინისტრს.

კითხვა—პასუხი.

კითხვა.— გასულ წელს დიდი შრომის და ენერგიის დახარჯვის შემდეგ ოზურგეთის სამაზრო ერობამ გამოყო ფონდის მიწა სამეგრელოდან და გაანაწილა გურიის თემების მცხოვრებთა შორის. გთხოვთ განგვიმარტოთ წელს ეს მიწები შარშანდულათ განაწილებული დარჩება, თუ ხელმეორეთ მოხდება ამ მიწების განაწილება, როგორც მეყანეთა, ისე გურია—სამეგრელოს შორის.

პასუხი.— გასულ წელს ოზურგეთისა და სენაკის სამაზრო ერობათა შორის მოხდა შეთანხმება სადიდიო-ანჯელში მდებარე საყანე მიწების გურიის მცხოვრებლებზე გადაცემის შესახებ და ეს შეთანხმება იყო სავალდებულო მხოლოდ გასული 1919 წლის განმავლობაში. 1920 წლისთვის მიღებულია ზომები, რათა სამუდამოთ დაიდვას საზღვარი საფონდო მიწებზე სენაკისა და ოზურგეთის მაზრათა შორის. საზღვარი უნდა გაავლოს ამ ორივე მაზრათა წარმომადგენლებისაგან შემდგარმა შერეულმა კომისიამ მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულის თავმჯდომარეობით.

ოზურგეთის სამაზრო ერობის

განცხადება

საბაჟარიოს კომისიებში საჭიროა მდივნები.

პირობების გაგება შეიძლება ერობის საადგილმამულო განყოფილებაში.

რედაქტორი—კოლეგია.

გამომცემელი—ოზურგ. სამაზრო ერობის გამგეობა.

სტამბა ალექ. ა. კალატოზიშვილისა ქ. ოზურგეთში.